სამუშაოს აღწერილობა

ზოგადი ინფორმაცია	
თანამდებობის სახელწოდება	შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მენეჯერი
უშუალო ხელმძღვანელი	დირექტორი
სამუშაოს გრაფიკი (განაკვეთი)	სრული განაკვეთი
დაქვემდებარებული თანამდებობები	არა

ფუნქცია-მოვალეობები
• საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს რეგულარულ მეთვალყურეობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ სხვადასხვა (მეტროლოგიის, ხანძარსაწინააღმდეგო, გარემოს დაცვის, სტანდარტიზაციის და სხვა) ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე; • ახორციელებს შრომის პირობების ინსპექტირებას; • ახორციელებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის შემუშავებას/დანერგვას/შესრულების კონტროლს; • აწარმოებს ზოგადი და სპეციფიკური შრომითი რისკების შეფასებას და საფრთხეების იდენტიფიცირებას. • უზრუნველყოფს პერსონალის უსაფრთხოების დაცვის საშუალებების (PPE) არსებობას მაღალი რისკის ადგილებზე; • ახორციელებს დაწესებულების შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირებასა და მენეჯმენტთან წარდგენას; • უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივ ინფორმირებულობას და დაწესებულების მენეჯმენტის დროულ ინფორმირებას; • უზრუნველყოფს საშიშროებების განსაზღვრასა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასებას დაწესებულების საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით; • უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით რისკების შეფასებას, პრევენციასა და მართვას. • უზრუნველყოფს პერსონალისთვის შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარებას; • აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებს გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირებას; • უზრუნველყოფს რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას; • უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავებას და აღნიშნულის შესახებ დაწესებულების პერსონალის სათანადო ინფორმირებას; • უზრუნველყოფს დაწესებულების შენობა-ნაგებობას გამაფრთხილებელი ნიშნებით

აღჭურვას; • ახორციელებს დაწესებულების ახალი თანამშრომლის პირველად ინსტრუქტაჟს; • ახორციელებს მუდმივ კონტროლს ხანძარსაწინააღმედეგო უსაფრთხოების საშუალებებზე; • ახორციელებს მენეჯმენტის ინფორმირებას ინციდენტების შესახებ. უზრუნველყოფს მათ აღრიცხვას, ანგარიშის შედგენას, გამომწვევი მიზეზების შესწავლა/მოკვლევასა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარებას; • უზრუნველყოფს სახანძრო ინსტრუქციების შემუშავებას; • მონაწილეობას იღებს სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის პროცესში კომპეტენციის ფარგლებში; • კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უშუალო და ზემდგომ ხელმძღვანელთა სხვა დავალებებისა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულებას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
განათლება	ბაკალავრის ხარისხი
პროფესიული ცოდნა	• საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ • შრომის უსაფრთხოების პრინციპები • საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
სამუშაო გამოცდილება	• 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება შრომის უსაფრთხოების მიმართულებით
კომპიუტერული პროგრამები	• MS Word, MS Excel (ცოდნის დონე - კარგი)
უცხოური ენები	-
კომპეტენციები და უნარები	• დაგეგმვა და ორგანიზება; • დროის ეფექტიანი მართვა; • გუნდური მუშაობის უნარი; • საკანცელარიო უნარი; • სიზუსტე და დეტალებზე ორიენტირებულობა.
სხვა, დამატებითი მოთხოვნები	„შრომის უსაფრთხოების“ აკრედიტებული კურსის სერტიფიკატი

გავეცანი და ვადასტურებ 28.03.2022